



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ლაგოდეხი

ბრძანება

№180

2016 წლის 1 მარტი

ქ.ლაგოდეხი

ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე
მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო
კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. დაწყებულ იქნას მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიკული
„პრიორიტეტების დოკუმენტის“ მოსამზადებლად.
2. „პრიორიტეტების დოკუმენტის“ მოსამზადებლად შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. შემდეგი
შემადგენლობით:

გიორგი ბოკერია - ჯგუფის უფროსი

ჯგუფის წევრები:

- გიორგი მჭედლიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
- გიორგი მანგოშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
სამსახურის უფროსი;
- გიორგი ჩალათაშვილი - ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის,
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსი;
- ნინო ბატიაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- თამაზი ღონილაძე - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ
საკითხთა სამსახურის უფროსი;
- გელა ლომიძე - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი;
- ალექსი ჭავჭავაძე - ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
- მალხაზი ნოზაძე - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.

ჯგუფის აპარატი:

- გია კუდაშვილი - საბიუჯეტო სახაზინო განყოფილების უფროსი;
- ივანე ყაველაშვილი - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა
დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსი.
3. დაევალოს „პრიორიტეტების დოკუმენტზე“ მომუშავე ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტის
მოსამზადებლად მუშაობა დაიწყოს მიმდინარე წლის 1 მარტიდან და დასრულოს
მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე.
 4. პრიორიტეტის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 76-ე
მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.
 5. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.
 6. ბრძანების გასაჩინოებების შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის
რაიონულ სასამართლოში. შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი



კარლო ჯამბურია